




საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის:

- შეიცვალა მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ პუნქტი, რომლის მიხედვით დივიდენდს არ მიეკუთვნება - იურიდიული პირის აქციონერზე/მოწილეზე განხორციელებული გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით, გარდა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემისა;
- შეიცვალა 26-ე მუხლის პირველი ნაწილი და დადგინდა: „სპეციალური სავაჭრო ზონის (შემდგომ – სსზ) სტატუსი საკუთარი ინიციატივით შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას ეწევა.“;



- შეიცვალა 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, პირს სსზ-ის სტატუსის მიღების შემთხვევაში სსზ-ის სტატუსის მიღების მომდევნო წლის 1 იანვრიდან ეკისრება ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფა;
- 34-ე მუხლს დაემატა მე - 6² ნაწილი - საქართველოს რეზიდენტობა, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-6 და 6¹ ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით;
- სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული შეღავათები და პრივილეგიები 2018 წლის 1 იანვრის ნაცვლად ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვარს;
- ამოღებულ იქნა 130-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება;
- 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი:
განაწილებულ მოგებად არ ითვლება საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით, გარდა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემისა;
- კოდექსს დაემატა 181¹-ე მუხლი, რომლის თანახმად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელს უფლება აქვს, დაიბრუნოს საქართველოში საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა) შეძენისას ან/და მომსახურების შეძენისას ან საქართველოში საქონლის იმპორტირებისას გადახდილი დღგ-ის თანხა, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ ყველა პირობას;
- 2018 წლის 1 იანვრიდან აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12, 2711 13, 2711 14 000 00, 2711 19 000 00 კოდებში მითითებული ნავთობპროდუქტების აირების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 92¹-ე ნაწილი, რომლის მიხედვით: არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება მოგების გადასახადით არ იბეგრება;
- კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 93¹-93²-ე ნაწილები:
ამ კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს უფლება აქვს, 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებამდე ამ მუხლის 92-ე ნაწილის შესაბამისად ჩაითვალოს დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი;
პირის მიერ ამ მუხლის 93¹ ნაწილით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:
ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებისას ამ მუხლის 92-ე ნაწილით გათვალისწინებული ჩათვლა მცირდება ამავე მუხლის 93¹ ნაწილის შესაბამისად ჩათვლილი მოგების გადასახადის ოდენობით;
ბ) კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) მიწოდების შედეგად ანაზღაურების მიღებისას (თანხის ფაქტობრივად მიღებისას) პირს უფლება აქვს, თანხის ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადი, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადისა.“

შეიცვალა 309-ე მუხლის 99-ე ნაწილი:

ამ კოდექსის 98¹ მუხლის მიზნებისთვის:

- ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად არ ითვლება;
- ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება, აგრეთვე 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის 2019 წლის 1 იანვრამდე განაწილება მოგების განაწილებად ითვლება.“



„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი

2018 წლის 1 იანვრიდან დაზღვევის შესახებ კანონში ძალაში შევიდა რამდენიმე ცვლილება, მათ შორის:

კანონს დამატა 9²-ე მუხლი - „შიდა აუდიტი“, რომლის შესაბამისად, მზღვეველის საქმიანობა ექვემდებარება შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებას ამ მუხლით დადგენილი წესით და განსაზღვრული პირობებით;

კანონს დამატა 19¹-19³-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს საზედამხედველო საფასურის განაკვეთს, მისი გადახდის წესს, დაფინანსების წყაროებსა და ბიუჯეტს.

საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 15 დეკემბერს მიიღო ახალი კანონი, რომლის მიზანია დაარეგულიროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად წარმოქმნილი სამოქალაქო ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო

სახელმწიფოში რეგისტრირებული ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას მათივე მონაწილეობით და, რომლის დროსაც ზიანი მიადგა მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქონებას.

კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი

gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი

gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2018 შპს დელოიტი და ტუმ. ყველა უფლება დაცულია.